სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება N 2

ქ. ბათუმი მარტი, 2022 წელი

ერთის მხრივ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“ (შემდგომში ,,შემსყიდველი’’) წარმოდგენილი დირექტორი ჯონი საბაშვილის სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ბრაზერჰუდი’’ წარმოდგენილი დირექტორის კობა ბერეკაშვილი სახით (შემდგომში „მიმწოდებელი’’) ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სარკე "საქართველო", ხის დეკორატიული ნაკეთობა და დიოდური ნათება დროსელით შესყიდვას თანახმად დანართი #1-სა (CPV კოდები - 39200000-ავეჯეულობა, 31500000-გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრო ნათურები).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 750.00 (შვიდასორმოცდაათი ლარი და 00 თეთრი) ლარი.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.
2.3. საქონლის ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი1-ის თანახმად.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად მოწოდებული საქონლის შესაბამისი მიღება–ჩაბარების აქტის და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
3.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება განხორციელდება <u>2022 წლის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით.</u>

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1 საქონლის მოწოდების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.
4.2 <u>მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2022 წლის 31 მარტის ჩათვლით.</u>

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
ბ) საქონლის მოწოდების დარსულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება და მიღება-ჩაბარება

6.1. შემსყიდველის მხრიდან მოწოდებული საქონლის ინსპექტირებას/შემოწმებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ალექსანდრე გოგელია - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირის - ,,აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის“ სამეურნეო დარგის მთავარი სპეციალისტი
6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მოწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
6.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების პირობების შეუსრულებლობის ან/და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის, ასევე ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებებზე უარის თქმის შემთხვევაში, რაც გამოიწვევს ხელშეკრულების დროზე ადრე შეწყვეტას “მიმწოდებელს” ეკისრება ჯარიმა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტის ოდენობით.
7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.
7.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,5 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
7.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან;

9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და <u>მოქმედებს 2022 წლის 31 მაისის ჩათვლით</u>.

12. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

ა(ა)იპ - ,,აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“

საინდიფიკაციო კოდი 245608597

ქ. ბათუმი, ვაჟა-ფშაველას ქ. #21

ტელ: 27 35 74.

ელ. მასამართი: bibliotekabatumis@gmail.com

ბანკის დასახელება – სახელმწიფო ხაზინა

ბანკის კოდი TRESGE22

ანგ. GE24NB0330100200165022

დირექტორი ჯონი საბაშვილი

„მიმწოდებელი“

შპს ,,ბრაზერჰუდი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 445598577

მის: ქ. ბათუმი, ილია ჭავჭავაძის ქ. N49, ბ.25

ტელ: 571999902

ს.ს "საქართველოს ბანკი"ბანკის

კოდი: BAGAGE22

ა/ა: GE77BG0000000499071602GEL

დირექტორი კობა ბერეკაშვილი

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი	საქონლის დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	39298000	სარკე "საქართველო"	ცალი	1	450,00	450,00
2	39298900	ხის დეკორაციული ნაკეთობა	ცალი	1	200,00	200,00
3	31523100	ნათება დროსელით	ცალი	2	50,00	100,00
სულ ჯამი:						750.00

„შემსყიდველი“
ა(ა)იპ - ,,აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა“

„მიმწოდებელი“
შპს ,,ბრაზერჰუდი“

დირექტორი ჯონი საბაშვილი

დირექტორი კობა ბერეკაშვილი